



საქართველოს უნივერსიტეტი
ჯანდაცვის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლა

ხელნაწერის უფლებით

სოფიო სკლიარენკო
დემოგრაფიული და სოციალური ფაქტორების ზეგავლენა ჭარბ წონასა და
სიმსუქნეზე საქართველოში

(სპეციალობა - 0904 - საზოგადოებრივი ჯანდაცვა)

ავტორეფერატი

საზოგადოებრივი ჯანდაცვის დოქტორის
აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თბილისი
2016

ნაშრომი შესრულებულია საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლაში

სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობა

საბჭოს თავმჯდომარე - ოთარ ვასაძე, მედიცინის აკადემიური დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

სამეცნიერო ხელმძღვანელი - ზაზა ავალიანი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

საბჭოს წევრი - ვასილ ტყეშელაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოწვეული ექსპერტი - ოთარ გერზმავა, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

მოწვეული ექსპერტი - ლალი ჯავაშვილი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი

დისერტაციის დაცვა შედგება 2016 წლის 22 მარტს 17:00 საათზე საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებათა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე

თბილისი, კოსტავას ქ. 77, საქართველოს უნივერსიტეტის კორპუსი IV, აუდიტორია 519

დისერტაციის გაცნობა შესაძლებელია საქართველოს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში

სადისერტაციო საბჭოს მდივანი

სუ-ის სადოქტორო პროგრამების მენეჯერი

თამარ ბიწაძე

პრობლემის აქტუალობა

სიმსუქნე და ჭარბი წონა თანამედროვე ცივილიზაციის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემაა. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემთა მიხედვით, სიმსუქნემ მიაღწია ეპიდემიის დონეს. 1995 წელს მსოფლიოში იყო 200 მილიონამდე მსუქანი მოზრდილი ადამიანი, ხოლო 2000 წლისათვის ეს ციფრი 300 მილიონამდე გაიზარდა. 22 მილიონია ხუთ წელზე ნაკლები ასაკის ბავშვი ჭარბი წონით (Finer, 2003).

სიმსუქნე მიეკუთვნება ე.წ. ცივილიზაციის დაავადებებს. კვების “ვესტერნიზაცია”, კვების ქაოტური რეჟიმი, ღამის კვება, ფიზიკური აქტივობის შეზღუდვა განაპირობებს სიმსუქნის “პანდემიას” (Amigo, I., Fernandez, C 2007). ეს პრობლემა აქტუალურია იმ ქვეყნებისთვისაც კი, რომელთა მოსახლეობის დიდი ნაწილი შიმშილობს. განვითარებულ ქვეყნებში ეს პრობლემა შეეხო მოსახლეობის ყველა ფენას, განურჩევლად მათი სოციალური, პროფესიონალური სტატუსისა, ასაკისა და სქესისა.

სიმსუქნის გავრცელებასთან ერთად მრავლდება და მძიმდება მასთან დაკავშირებული სომატური დაავადებები: ათეროსკლეროზი, გულის კორონარული დაავადება, არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი ტიპი 2 (Seccareccia F, Lanti M et.al 1998) , პოდაგრა, ონკოლოგიური დაავადებები, ქალებში ანოვულაციის მაღალი სიხშირე და სხვა, რომლებიც აუარესებენ ცხოვრების ხარისხს, იწვევენ შრომისუნარიანობის დაქვეითებას და ნაადრევ სიკვდილს.

ზემოაღნიშნული პრობლემებიდან გამომდინარე, პრიორიტეტული გახდა სიმსუქნის კვლევა. ბოლო 2 ათწლეულია, რაც მთელ მსოფლიოში ინტენსიურად მიმდინარეობს სიმსუქნის შემსწავლელი კვლევები სხვადასხვა მიმართულებით (მისი გავლენა ფიზიკურ ჯანმრთელობაზე, ფსიქოსოციალური ზეგავლენა და ა.შ.).

უკანასკნელ წლებში საქართველოს მოსახლეობამ განიცადა მნიშვნელოვანი ცვლილებები როგორც დემოგრაფიის, ისე ჯანმრთელობის მდგომარეობის კუთხით. 2014 წლის მონაცემებით, მოსახლეობის სავარაუდო სიცოცხლის ხანგრძლივობა 2010 წელთან შედარებით შემცირდა დაახლოებით 2 წლით (სტატისტიკური ცნობარი 2014).

ევროპის ჯანმრთელობის რეპორტის მიხედვით, შესაძლებელია სიკვდილიანობის გამომწვევი მდგომარეობების პრევენცია. ძირითად რისკ-ფაქტორებად მოიაზრება

მაღალი არტერიული წნევა, ქოლესტერინის მაღალი დონე და ა.შ. ხშირ შემთხვევაში ამ მდგომარეობებს საფუძვლად უდევს ჭარბი წონა. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია ეფექტური პრევენციული ღონისძიებების დანერგვა .

უკანასკნელ წლებში გამოიკვეთა ჭარბწონიანობის ტენდენცია საქართველოში, რაც ზრდის ჯანდაცვის დანახარჯებს გამომდინარე იქედან, რომ არაგადამდებ დაავადებათა გამო (გულის იშემიური დაავადება (გ.ი.დ), არტერიული ჰიპერტენზია, შაქრიანი დიაბეტი და ა.შ.) მიმართვიანობას კლინიკებში აქვს მზარდი ტენდენცია(სტატისტიკური ცნობარი 2012, NCDC). ჭარბწონიანობას აქვს მნიშვნელოვანი ზეგავლენა ჯანმრთელობასა და სოციალურ კეთილდღეობაზე, ვინაიდან ამ მდგომარეობით გამოწვეული არაგადამდები დაავადებები იწვევენ ხანგრძლივ შრომისუნარობას და დაკავშირებულია დიდ დანახარჯებთან (Cholditz, G. A. 1999). არაგადამდები დაავადებების პრევენციისა და კონტროლის ევროპული სტრატეგიის მიხედვით, ჯანდაცვის დანახარჯების 70–80 % მოდის სწორედ ქრონიკულად მიმდინარე დაავადებებზე. განვითარებულ ქვეყნებში გულ–სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის სიხშირე შემცირდა, თუმცა დაახლოებით 10– ჯერადი განსხვავებაა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებთან შედარებით (WHO factsheets 2013) .

პრობლემის აქტუალობიდან და პრიორიტეტულობიდან გამომდინარე მოხდა კვლევის თემატიკის შერჩევა

კვლევის მიზანი:

კვლევა მიზნად ისახავს საქართველოში სიმსუქნისა და ჭარბი წონის გავრცელებისა და მათი სოციალურ, დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან, ასევე ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დამოკიდებულების ანალიზს, რაც საშუალებას მოგვცემს შემუშავებულ იქნას კონკრეტული პრევენციული რეკომენდაციები.

კვლევის ამოცანები:

1. 2010-2011 წლებში საქართველოში არაგადამდები დაავადებების რისკ-ფაქტორების გავრცელების შესახებ ინფორმაციის მომცველი მონაცემთა ბაზის მეორადი ანალიზის ჩატარება.
2. საქართველოში 18-დან 64 წლამდე ასაკობრივ პერიოდში მამაკაცებსა და ქალებში სიმსუქნისა და ჭარბი წონის დამოკიდებულების შესწავლა სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან, ფიზიკურ და ბიოქიმიურ მახასიათებლებთან.

კვლევის მეცნიერული სიახლე და პრაქტიკული ღირებულება

საქართველოში სიმსუქნისა და ჭარბი წონის სოციო-დემოგრაფიულ, ქცევით ფაქტორებთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დამოკიდებულების ანალიზმა საშუალება მოგვცა აღნიშნულ სამეცნიერო დარგში მიგველო ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა, კერძოდ:

1. დაზუსტებული იქნა საქართველოში ყოველ 1,000 მოსახლეზე ჭარბი წონისა და სიმსუქნის პრევალენტობა სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით;
2. გამოვლენილ იქნა მამაკაცებში, ქალებთან შედარებით, ასაკთან ერთად წონაში მატებისა და სიმსუქნის ერთი დეკადით ადრე განვითარების ტენდენცია.
3. დადასტურებული იქნა სიმსუქნისა და ჭარბი წონის კორელაცია სოციო-დემოგრაფიულ და ქცევით ფაქტორებთან, დაზუსტებულ იქნა მომატებული სმი-ს რისკის ჯგუფები;
4. დადასტურებული იქნა მომატებული სმი-ს კორელაციური კავშირი ჯანმრთელობის მდგომარეობის რიგ დარღვევებთან, კერძოდ, მაღალ არტერიულ წნევასთან, სისხლში ქოლესტერინისა და გლუკოზის დონის მომატებასთან, ანამნეზში შაქრიან დიაბეტთან, ინსულტთან, მიოკარდიუმის ინფარქტთან, ავთვისებიან სიმსივნეებთან.
5. პირველად იქნა დადგენილი საქართველოს მოსახლეობაში სიმსუქნისა და ჭარბი წონის შემთხვევებში შაქრიანი დიაბეტის, ინსულტის, მიოკარდიუმის ინფარქტისა და ავთვისებიანი სიმსივნეების განვითარების რისკების ოდენობები.

კვლევის შედეგად მიღებული ახალი და უფრო სრულყოფილი ცოდნა საშუალებას მოგვცემს ოპტიმიზირებული იქნას პოპულაციაში მაღალი რისკის ჯგუფების ფორმირება და მათი

სკრინინგით მოცვა, ხელი შეეწყოს მძიმე ქრონიკული დაავადებების პრევენციას, მოსახლეობის ჯანმრთელობის პრომოციას და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის ინპლემენტაციას, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის გაზრდას, საზოგადოებრივი ჯანდაცვის ხარისხის გაუმჯობესებას, გარკვეული სოციალურ-ეკონომიკური სარგებელის მიღებას.

ნაშრომის აპრობაცია

სადისერტაციო ნაშრომის ფრაგმენტები მოხსენებულია საერთაშორისო კონფერენციაზე „Presentation and supervision of PhD Protocols (Tromso, 1.05. 2014); სამეცნიერო პრაქტიკულ კონფერენციაზე „ქალთა ჯანმრთელობის აქტუალური საკითხები“ (თბილისი, 28.09.2014); ფინალურ საერთაშორისო კონფერენციაზე New York University’s Research training Program (თბილისი, 28.06.2015); ფინალურ საერთაშორისო კონფერენციაზე „ Doctoral Program in Public Health: Norway experience of third cycle studies for Georgia COEA-2012/10040“ (თბილისი,21.04.2015), საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის მეცნიერებებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სკოლის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე (თბილისი, 19.02.2015).

სამეცნიერო პუბლიკაციები

გამოქვეყნებული სამეცნიერო საშრომების რაოდენობა - 3

ნაშრომის მოცულობა და სტრუქტურა

დისერტაცია შედგება შესავლის , 6 თავის, ძირითადი შედეგების, პრაქტიკული რეკომენდაციების, გამოყენებული ლიტერატურის, დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სიისა და დანართი CD- გან. დისერტაცია დაწერილია 174 გვერდზე APA სტილით, შეიცავს 71 ცხრილსა და 34 ილუსტრაციას. გამოყენებული ლიტერატურის სია მოიცავს 167 წყაროს.

კვლევის მასალები და მეთოდები

დამუშავებული და გაანალიზებული იქნა არაგადამდებ დაავადებათა რისკ-ფაქტორების გავრცელების 2010- 2011 წლის მონაცემები, რომელშიც მონაწილეობდა საქართველოს 6497 მოქალაქე. აღნიშნული კვლევაში გამოყენებული იყო ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდი STEPS (WHO STEP wise approach to Surveillance). ეს არის ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ შემუშავებული მეთოდი - სტანდარტიზებული მიდგომა, რომ მოხდეს მონაცემთა შეგროვება, ანალიზი და მათი გავრცელება ჯანმო-ს წევრ ქვეყნებში. აღნიშნული კვლევა ტარდება მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაშიც. იგი ეფუძნება ეფექტურ და მეცნიერულად დადასტურებულ მეთოდოლოგიას და ინსტრუმენტებს, იძლევა სარწმუნო მონაცემებს.

აღნიშნულ სადისერტაციო ნაშრომში გაანალიზებულ იქნა სიმსუქნისა და ჭარბი წონის დამოკიდებულება სოციო-დემოგრაფიულ მონაცემებთან, ქცევით რისკ-ფაქტორებთან, ფიზიკურ გაზომვებსა და ბიოქიმიურ მახასიათებლებთან საქართველოში. ასევე შესწავლილი იქნა დაავადებათა რისკები სიმსუქნისა და ჭარბწონიანობის შემთხვევაში. მონაცემთა სტატისტიკური დამუშავება მოხდა SPSS- ში.

პირველ ეტაპზე ანალიზისათვის გამოყენებულ იქნა მარტივი T-ტესტი, რომლის დროსაც შერჩეულ იქნა დამოუკიდებელი ცვლადები: სოციო-დემოგრაფიული მონაცემები, ქცევითი ფაქტორები, ფიზიკური და ბიოქიმიური განზომილებები, დაავადებების არსებობა ანამნეზსა და მემკვიდრეობაში. ამ ეტაპზე მოხდა შედარება ჯგუფებს შორის სმი-ს მაჩვენებლის განაწილების მიხედვით და დადგინდა ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად სარწმუნო იყო თუ არა. აღნიშნული ტესტი საშუალებას იძლევა შედარდეს კონკრეტული მონაცემები იმისათვის რომ დაადასტუროს ან გააბათილოს ნულოვანი ჰიპოთეზა. ტ-ტესტი თვალსაჩინოდ აჩვენებს სტატისტიკურად სარწმუნოა თუ არა ჯგუფებს შორის განსხვავება.

მეორე ეტაპზე მოხდა რეგრესიული მოდელის აგება, რომ განსაზღვრულიყო რეგრესიული დამოკიდებულება ფაქტორების ჯგუფსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის. რეგრესიულ ანალიზში განისაზღვრა თუ რომელი დამოუკიდებელ ცვლადსა და დამოკიდებულ ცვლადს შორის არსებობს კორელაცია. აღნიშნული მეთოდი საშუალებას იძლევა ვუპასუხოთ შეკითხვას - ახდენს თუ არა გავლენას დამოუკიდებელი ცვლადები

დამოკიდებული ცვლადის ცვლილებაზე. ფაქტიურად ეს არის ნულოვანი ჰიპოთეზის გამოცდა, რაც უფრო ახლოსაა რეგრესიის კოეფიციენტი ერთთან, მით უფრო მეტად დადებითი კორელაცია არსებობს დამოუკიდებელ და დამოკიდებულ ცვლადს შორის.

მრავლობითი რეგრესიული ანალიზი ჩატარდა შემდეგ პარამეტრებზე :

სოციო - დემოგრაფიული მონაცემები, ქცევითი რისკ-ფაქტორები , ფიზიკური განზომილებები, ბიოქიმიური განზომილებები, ანამნეზში დაავადებების არსებობა, მემკვიდრულ ანამნეზში დაავადებების არსებობა , სხვადასხვა საკვები პროდუქტის მოხმარება კვირის დღეების რაოდენობის მიხედვით, გარეთ დამზადებული საკვების მოხმარება.

შემდეგ ეტაპზე მოხდა დაავადებათა შეფარდებითი რისკების გამოთვლა ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში. შეფარდებითი რისკი წარმოადგენს ამა თუ იმ მოვლენის გამოვლენის ალბათობას შესასწავლ ჯგუფში სხვა ჯგუფთან შედარებით.


ჩვენს კვლევაში შესწავლილ იქნა დაავადებათა გამოვლენის შეფარდებითი რისკები როგორც ნორმალური წონის, ისევე ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში.

ანალიზში შევიდა შემდეგი დაავადებები: ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, დიაბეტი, სიმსივნური დაავადება. დაავადებათა შეფარდებითი რისკისა და შანსების შეფარდების გამოთვლა მოხდა ასევე სქესისა და ასაკის მიხედვით ჭარბი წონისა და სიმსუქნის ჯგუფებში ნორმალური მასის მქონე პოპულაციასთან შედარებით.

კვლევით მიღებული ძირითადი შედეგები


6293 პირის, მათ შორის 4453 ქალისა და 1840 მამაკაცის სხეულის მასის ინდექსის (სმი) შესწავლით დადგენილი იქნა, რომ ჭარბი წონის (სმი=25.0-29.9) პრევალენტობა ყოველ 1,000 მოსახლეზე ორივე სქესში შეადგენს 314-ს. ამავე დროს, ჭარბი წონა ყოველ 1,000 ქალზე აღენიშნება 257-ს, ხოლო 1,000 მამაკაცზე - 368-ს. სიმსუქნის (სმი=30+) პრევალენტობა ყოველ 1,000 მოსახლეზე ორივე სქესში შეადგენს 251-ს. ამავე დროს, სიმსუქნე ყოველ 1,000 ქალზე აღენიშნება 285-ს, ხოლო 1,000 მამაკაცზე - 218-ს. ამდენად, ჭარბი წონის სიხშირე უფრო პრევალირებს მამაკაცებში (368%0), ხოლო სიმსუქნის-ქალებში (285%0).

ილუსტრაცია 1- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 2- ჭარბი წონისა და სიმსუქნის გავრცელება 1000 მოსახლეზე სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით




წყარო - კვლევის მასალები

ქცევითი ფაქტორების ანალიზის შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

მწველობის სტატუსის მიხედვით

ილუსტრაცია 3 - სხეულის მასის ინდექსი მწვეელობის სტატუსის მიხედვით




წყარო - კვლევის მასალები

აღნიშნული შედეგის მიხედვით ($P < 0.05$) დადგინდა, რომ თამბაქოს გამოყენება დაკავშირებულია სმი-ს დაბალ მაჩვენებელთან.

განათლების დონის მიხედვით კვლევაში შესწავლილ იყო 6 ჯგუფი

ილუსტრაცია 4- სხეულის მასის ინდექსი განათლების დონის მიხედვით




წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე მაღალი სმი აღმოჩნდა სრული საშუალო განათლების მქონე ჯგუფში. ხოლო ყველაზე დაბალი - განათლების არმქონე პირებს ($P < 0.05$).

საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით

ილუსტრაცია 5 - სმი ცვლილება საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით



წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე მაღალი სმი აღენიშნა იმ პირებს რომლებიც იკვებებოდნენ დღეში ოთხჯერ, ხოლო ყველაზე დაბალი მათ ვინც საკვებს ღებულობდა დღეში ერთხელ ($P<0.05$).

ფიზიკური დატვირთვის მიხედვით ანალიზში შევიდა 2 ჯგუფი: პირები, რომლებიც ყოველდღიურად 10 წუთით მაინც იტვირთებოდნენ ფიზიკურად, სმი-ს მაჩვენებელი აღმოჩნდა 27.7, ხოლო იმ პირებში, რომლებიც 10 წუთსაც არ გამოყოფდნენ ფიზიკურ დატვირთვაზე დღის განმავლობაში, სმი-მ შეადგინა 29.0, განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P<0.05$)

ოჯახური მდგომარეობის მიხედვით :

1. დაუქორწინებლები -24.79
2. ამჟამად ქორწინებაში მყოფი - 28.54
3. ცალკე მცხოვრები - 29.54
4. განქორწინებული -27.91
5. ქვრივი -30.07

ჯგუფებს შორის განსხვავება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P<0.05$)

ცხრილი 1 - სმი მაჩვენებელი სამუშაო სტატუსის მიხედვით

ჯგუფები სამუშაო სტატუსის მიხედვით	სხეულის მასის ინდექსი
1 სახელმწიფო მოხელე	28.373816
2 არასამთავრობო სექტორში მომუშავე	27.255669
3 თვითდასაქმებული	28.456184
4 სტუდენტი	22.848159
5 დიასახლისი	28.759659
6 პენსიონერი	30.382922
7 უმუშევარი	26.690590

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე დაბალი სმი აღნიშნულობდათ სტუდენტებს და უმუშევრებს.

საინტერესო შედეგები იქნა მიღებული ანამნეზში სხვადასხვა დაავადების არსებობასა და სხეულის მასის ინდექსს შორის კავშირის კუთხით .

განხილულ იქნა 4 ნოზოლოგია - ინსულტი, ავთვისებიანი სიმსივნე, მომატებული ქოლესტეროლი სისხლში, მიოკარდიუმის ადრეული ინფარქტი.

კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, იმ ადამიანებში რომელთაც აღნიშნუბათ ანამნეზში ზემოთ აღნიშნული რომელიმე დაავადების არსებობა, სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი უფრო მაღალია

ცხრილი 2 - სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით

დაავადებები	დიახ	არა
სიმსივნე	36.42	28
ინსულტი	33	28.03
მიოკარდიუმის ინფარქტი	35	28.11
სისხლში ქოლესტერინის მაღალი მაჩვენებელი	31	28

წყარო კვლევის მასალები

აღნიშნულმა ანალიზმა დაადასტურა კვლევის ჰიპოთეზა. შესაბამისად საქართველოს მოსახლეობას შეიძლება მიეცეს რეკომენდაცია სხეულის მასის ინდექსის ნორმის ფარგლებში შენარჩუნებისათვის, ვინაიდან ამ შემთხვევაში ქვეითდება მთელი რიგი დაავადებების განვითარების რისკი.

იმისათვის რომ ინფორმატიული ყოფილიყო თუ რომელი ცვლადების ცვლილებაზეა დამოკიდებული სმი ცვლილება, გამოყენებულ იქნა მრავლობითი რეგრესიული ანალიზი, რომელიც ჩატარდა შემდეგ პარამეტრებზე :

- სოციო - დემოგრაფიული მონაცემები: სქესი, ასაკი, განათლება დონე, ოჯახური მდგომარეობა, სამუშაო სტატუსი ბოლო 12 თვის მანძილზე.
 - ოჯახური მდგომარეობის 5 ჯგუფი: 1. დაუქორწინებელი 2. ამჟამად დაქორწინებული 3. ცალკე მცხოვრები 4. განქორწინებული 5. ქვრივები.
 - განათლების დონე : 1. დაწყებითი განათლება (სრული და არასრული); 2. არასრული საშუალო; 3. სრული საშუალო; 4. საუნივერსიტეტო და დიპლომის შემდგომი.
 - სამუშაო სტატუსის მიხედვით ანალიზში მოხვდნენ: 1. სახელმწიფო მოხელე; 2. არასამთავრობო სექტორში დასაქმებული; 3. თვითდასაქმებული; 4. არაანაზღაურებადი; 5. სტუდენტი; 6. დიასახლისი; 7. პენსიონერი; 8. უმუშევარი

ცხრილი 3- რეგრესიული ანალიზი - დემოგრაფიული მონაცემები სმი-თან მიმართებაში

მოდელი	არასტანდარტიზირებული კოეფიციენტი		სტანდარტიზირებული კოეფიციენტი		t	Sig.
	B	Std. Error	Beta			
1 დამოუკიდებელი ცვლადები	30.300	.230			131.839	####
ასაკი_18_24	-5.693	.559	-.146		-10.185	.000
ასაკი_25_34	-3.950	.428	-.119		-9.220	.000
ასაკი_35_44	-1.658	.386	-.055		-4.293	.000
ოჯახური მდგომარეობა	-1.419	.441	-.045		-3.220	.001
განათლების დონე	-.677	.302	-.028		-2.238	.025
სქესი	-.490	.331	-.019		-1.481	.139
სამუშაო სტატუსი	-.666	.375	-.023		-1.777	.076

წყარო - კვლევის მასალები

ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა სხეულის მასის ინდექსსა და ასაკს შორის. ასაკის მატებასთან ერთად სხეულის მასის ინდექსი მნიშვნელოვნად იზრდება ($P < 0.05$).

ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ სქესი მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას და დამოკიდებულებაც ცვლადებს შორის არ არის სტატისტიკურად სარწმუნო. ოჯახური მდგომარეობაც გარკვეულწილად განსაზღვრავს სმი-ს ცვლილებას და ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად მნიშვნელოვანია ($P < 0.05$). ტ-ტესტის შედეგების მიხედვით ყველაზე დაბალი სმი აღმოჩნდა იმ პირებში, რომლებიც არ იყვნენ დაქორწინებულნი. სმი მატულობდა ქორწინებაში მყოფ პირებში. აქედან გამომდინარე, შესაძლოა რეკომენდაციები მიეცეს ქორწინებაში მყოფ წყვილებს კვების რეჟიმთან და ფიზიკურ აქტივობასთან დაკავშირებით.

ყველაზე ნაკლები კორელაცია აღმოჩნდა სმი-სა და სამუშაო სტატუსს შორის, რაც იმას ნიშნავს, რომ სამუშაო სტატუსის ცვლილება მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სმი-ს ცვლილებას. ასევე ანალიზის შედეგად გამოვლინდა, რომ განათლების დონე ნაკლებად

განსაზღვრავს სმი-ს და მხოლოდ განათლების დონე არ იძლევა იმის გარანტიას, რომ ადამიანი დაიცავს ჯანსაღი ცხოვრების წესს. ნებისმიერი განათლების მქონე ადამიანისათვის აუცილებელია ამ ინფორმაციის დეტალური მიწოდება.

აღნიშნულ ანალიზზე დაყრდნობით შესაძლოა შემუშავებულ იქნას რეკომენდაციები ცხოვრების წესის შესახებ ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. ასაკის მატებასთან ერთად ადამიანებს მიეცეთ რჩევა უარი თქვან მაღალკალორიულ საკვებზე . საჭიროა პრომოცია გაეწიოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას დაქორწინებულ წყვილებში, ვინაიდან რეგრესიულ ანალიზში დაფიქსირდა კორელაცია ოჯახურ მდგომარეობასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის.

ქცევითი რისკ-ფაქტორებიდან ცვლადებად გაანალიზებულ იქნა : თამბაქოს მოხმარება, ყოველდღიური 10 წუთიანი ფიზიკური დატვირთვა, საკვების მიღების ჯერადობა დღის განმავლობაში, ალკოჰოლის მოხმარების სიხშირე ბოლო 12 თვის განმავლობაში.

საკვების მიღების ჯერადობის მიხედვით ანალიზში შევიდა ორი ჯგუფი: 1.საკვების მიღება დღეში 1 -დან 3-მდე ; 2. საკვების მიღება დღეში ოთხჯერ და მეტად

ცხრილი 4 - სმი და ქცევითი რისკ-ფაქტორები

მოდელი	არასტანდარტიზირებული კოეფიციენტები		სტანდარტიზირებული კოეფიციენტები	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
1 დამოუკიდებელი ცვლადები	27.966	1.059		26.416	.000
ყოველდღიური ათწუთიანი ფიზიკური დატვირთვა	-.828	.405	-.035	-2.045	.041
საკვების მიღების ჯერადობა_1_3	.260	.362	.013	.719	.472
საკვების მიღების ჯერადობა_5_6	1.728	.711	.042	2.429	.055
თამბაქოს მოხმარება	-1.401	.406	-.063	-3.451	.001
ალკოჰოლის მოხმარება	.159	.216	.013	.738	.461

წყარო - კვლევის მასალები

ქცევითი ფაქტორებიდან ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა სხეულის მასის ინდექსსა და თამბაქოს მოხმარებას შორის. კერძოდ, რაც მეტია თამბაქოს მოხმარება, მით უფრო დაბალია სხეულის მასის ინდექსი, ($P < 0.05$). აღნიშნულ ანალიზში არ გამოვლინდა სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება საკვების მოხმარების სიხშირესა და სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას შორის ($P > 0.05$).

ძლიერი უარყოფითი კორელაცია გამოვლინდა ყოველდღიურ 10-წუთიან ფიზიკურ დატვირთვასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის. ეს კიდევ უფრო ამტკიცებს იმ მოსაზრებას, რომ ყოველდღიური ფიზიკური აქტივობის პრომოცია ასევე ძალიან მნიშვნელოვანია პოპულაციის ჯანმრთელობისათვის.

სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება არ გამოვლინდა ალკოჰოლის მოხმარებასა და სხეულის მასის ინდექსის ცვლილებას შორის ($P>0.05$).

ბიოქიმიური განზომილებებიდან 6402 საკვლევ პირში განსაზღვრული იყო სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის დონე. აღნიშნული მონაცემები გამოყენებულ იქნა დამოუკიდებელ ცვლადებად და შეტანილ იქნა ანალიზში. რეგრესიით გამოვლინდა, რომ სხეულის მასის ინდექსსა და ამ ორ სტატისტიკურ ცვლადს შორის მტკიცე დადებითი კორელაცია არსებობს. უფრო ძლიერია ეს დამოკიდებულება გლუკოზის დონესთან მიმართებაში. ასეთივე შედეგი, თუმცა ბეტა კოეფიციენტის ნაკლები სიდიდის მნიშვნელობით, აღინიშნა ქოლესტერინის შემთხვევაშიც.

რეგრესიული ანალიზით ასევე შესწავლილ იქნა კორელაცია ანამნეზში დაავადებების არსებობასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის.


ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით ანალიზში შევიდა გადატანილი ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, ავთვისებიანი სიმსივნე

ცხრილი 5 - სმი მაჩვენებელი ანამნეზში დაავადებების არსებობის მიხედვით

Model		Unstandardized Coefficients		Standardized Coefficients	t	Sig.
		B	Std. Error	Beta		
1	(Constant)	27.770	.148		187.152	0.000
	ინსულტი ანამნეზში	3.677	1.190	.039	3.089	.002
	სიმსივნე ანამნეზში	7.993	1.270	.078	6.295	.000
	ინფარქტი ანამნეზში	6.304	.956	.083	6.594	.000

წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 6 - ანამნეზში დაავადებების არსებობა და სხეულის მასის ინდექსი



წყარო - კვლევის მასალები

კვლევის შედეგების მიხედვით, ის პიროვნებები რომელთაც აღნიშნებთ სხეულის მასის ინდექსის მაღალი მაჩვენებელი, უჩივიან ანამნეზში ზემოთ აღნიშნული რომელიმე დაავადების არსებობას. მნიშვნელოვანია ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში აღამიანებმა ჩაიტარონ რეგულარული სკრინინგი გარკვეული დაავადებების ადრეულ სტადიაზე გამოვლენის მიზნით.

რეგრესიული ანალიზით შესწავლილ იქნა კავშირი სხეულის მასის ინდექსსა და მემკვიდრეობაში სხვადასხვა დაავადების არსებობას შორის. 1. დიაბეტი ან მომატებული გლუკოზის დონე სისხლში; 2. მაღალი არტერიული წნევა; 3. ინსულტი; 4. ავთვისებიანი სიმსივნე; 5. მომატებული ქოლესტერინის დონე სისხლში; 6. მიოკარდიუმის ინფარქტი

ცხრილი 6- სმი მემკვიდრეობაში დაავადებების არსებობის მიხედვით - რეგრესიული ანალიზი

	არასტანდარტიზებული კოეფიციენტი		სტანდარტიზებული კოეფიციენტი	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
მაღალი არტერიული წნევა	1.050	.310	.045	3.391	.001
დიაბეტი	1.458	.375	.050	3.892	.000
მიოკარდიუმის ინფარქტი	-.100	.434	-.003	-.231	.817
მომატებული ქოლესტეროლი	-.190	.919	-.003	-.206	.836
სიმსივნე	.247	.362	.009	.682	.495
ინსულტი	.938	.396	.031	2.371	.018

წყარო - კვლევის მასალები

აღნიშნული ფაქტორებიდან ყველაზე მტკიცე დადებითი კორელაცია აღმოჩნდა მემკვიდრეობაში დიაბეტის არსებობასთან. აღნიშნული დამოკიდებულება სტატისტიკურად სარწმუნოა ($P < 0.05$). დადებითი კორელაცია დაფიქსირდა ასევე მემკვიდრეობაში ჰიპერტენზიის არსებობასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის. რაც შეეხება მემკვიდრეობაში ავთვისებიანი სიმსივნის, მომატებული ქოლესტეროლის და მიოკარდიუმის ინფარქტის არსებობას, დამოკიდებულება არ არის სტატისტიკურად სარწმუნო, ($P > 0.05$). შესაბამისად შეუძლებელია მსჯელობა აღნიშნული მდგომარეობების არსებობა ანამნეზში ახდენს თუ არა გავლენას სხეულის მასის ინდექსის მნიშვნელობაზე.

რეგრესიულ ანალიზში განხილულ იქნა სხვადასხვა პროდუქტის მოხმარების გავლენა სხეულის მასის ინდექსზე. ანალიზში კვირის დღეების რაოდენობის მიხედვით შეტანილ იქნა შემდეგი პროდუქტების მოხმარება: ხილის, ბოსტნეულის, ხორცპროდუქტების, თევზეულის, რძის პროდუქტების, პურის, ცხიმის (ამ უკანასკნელის მიხედვით გამოყოფილ იქნა ორი ჯგუფი: 1. მცენარეული ზეთის 2. კარაქის ან ერბოს მოხმარებლები). აღნიშნულ ანალიზში შეფასდა ასევე გარეთ დამზადებული საკვების კავშირი სხეულის მასის ინდექსთან.

ცხრილი 7 - სმი საკვები პროდუქტების მოხმარების მიხედვით - რეგრესიული ანალიზი

დამოუკიდებელი ცვლადები	არასტანდარტიზებული კოეფიციენტი		სტანდარტიზებული კოეფიციენტი	t	Sig.
	B	Std. Error	Beta		
1 (Constant)	26.676	1.668		15.993	.000
ხილის მოხმარება	-.051	.071	-.010	-.720	.472
ბოსტნეულის მოხმარება	.246	.089	.038	2.783	.005
ხორცის მოხმარება	.340	.099	.047	3.440	.001
თევზის მოხმარება	-.038	.137	-.004	-.279	.780
რძის მოხმარება	-.129	.068	-.025	-1.890	.059
პროდუქტების მოხმარება					
პურ-პროდუქტების მოხმარება	.047	.143	.004	.333	.739
გარეთ დამზადებული საკვები	-.274	.089	.040	3.083	.002
მცენარეული ზეთის მოხმარება	.389	1.263	.011	.308	.758
კარაქის და ერბოს მოხმარება	-1.291	1.335	-.034	-.967	.334

წყარო - კვლევის მასალები


აღნიშნულ ანალიზში ყველაზე ძლიერი კორელაცია გამოვლინდა ხორცპროდუქტების მოხმარებასა და სხეულის მასის ინდექსს შორის, ეს დამოკიდებულება სტატისტიკურად სარწმუნოა ($P < 0.05$) და ადასტურებს რომ ხორცის მოხმარება განაპირობებს სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლის ზრდას. სტატისტიკურად სარწმუნო კავშირი გამოვლინდა გარეთ დამზადებული საკვების მოხმარებასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლის ცვლილებას

შორის. გარეთ დამზადებული საკვების მოხმარება განაპირობებს სხეულის მასის ინდექსის მატებას.

სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება ($P < 0.05$) არ გამოვლინდა ისეთ პროდუქტებთან მიმართებაში, როგორცაა ხილი, თევზი, პურ-პროდუქტები და ცხიმის სახეობები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ აღნიშნული პროდუქტების მოხმარება მნიშვნელოვნად არ განსაზღვრავს სმი-ს მაჩვენებელს.

სტატისტიკურად სარწმუნო დამოკიდებულება მივიღეთ რძის პროდუქტების მოხმარებასა და სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელს შორის. თუმცა ამ შემთხვევაში გამოვლინდა უარყოფითი კორელაცია. აღნიშნულ შემთხვევაშიც მნიშვნელოვანია თუ რა სახის პროდუქტი გამოიყენება და ასევე ყურადსაღებია პროდუქტის ცხიმოვანობაც.

ილუსტრაცია 7 - პროდუქტების პროცენტული წილი ჭარბი წონისა და სიმსუქნის განვითარებაში




წყარო - კვლევის მასალები

ანალიზის შემდეგ ეტაპზე განისაზღვრა დაავადებათა რისკები ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში. გაანალიზდა შემდეგი დაავადებები: ინსულტი, მიოკარდიუმის ინფარქტი, დიაბეტი, სიმსივნური დაავადება. დაავადებათა შეფარდებითი რისკისა და შანსების


შეფარდების გამოთვლა მოხდა ასევე სქესისა და ასაკის მიხედვით ჭარბი წონისა და სიმსუქნის ჯგუფებში ნორმალური მასის მქონე პოპულაციასთან შედარებით.

ილუსტრაცია 8- დაავადებათა განვითარების რისკი ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში



წყარო - კვლევის მასალები

ილუსტრაცია 9- დაავადებათა განვითარების რისკი ჭარბი წონისა და სიმსუქნის შემთხვევაში 50 წლის ზემოთ



წყარო - კვლევის მასალები

ჭარბი წონის არსებობა 1.7- ჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს (95% CI 1- 3.0) , ხოლო სიმსუქნის შემთხვევაში (სმი 29.9 -ზე მეტი) ეს რისკი 2-ჯერ იზრდება (95% CI 1.4- 4.0). ასაკის მატებასთან ერთად ინსულტის განვითარების რისკი სიმსუქნის შემთხვევაში 6-ჯერ იმატებს ნორმალური წონის პოპულაციასთან შედარებით (95% CI 2.3- 15.0).

ჭარბი წონის არსებობა 2.4-ჯერ (95% CI 1.5- 3.9), ხოლო სიმსუქნის არსებობა 3.6 - ჯერ ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს (95% CI 2.3 – 5.7).

სიმსუქნისა და ჭარბი წონის არსებობის შემთხვევაში, ასაკის მატებასთან ერთად მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკი იზრდება 4-ჯერ (95% CI 2.7- 6.6)

შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი სიმსუქნის შემთხვევაში იზრდება 2.2- ჯერ (95% CI 1.7- 3.0) ხოლო ჭარბწონიანობის შემთხვევაში 2.1-ჯერ (95% CI 1.5-2.9). შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკი სიმსუქნის შემთხვევაში ასაკის მატებასთან ერთად იზრდება 1. 6- ჯერ ნორმალური წონის პოპულაციასთან შედარებით (95%CI 1.1- 2.2) . მამაკაცებსა და ქალებში დიაბეტის განვითარების რისკი დაახლოებით ერთნაირია. სიმსუქნის შემთხვევაში , 2.3 - ჯერ იმატებს ნორმალური წონის პოპულაციასთან შედარებით.

ასაკის მატებასთან ერთად სიმსუქნისა და ჭარბი წონის არსებობის შემთხვევაში 2 - ჯერ იზრდება სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკი (95% CI 1.1- 3.4)

დასკვნები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე ფორმულირებული იქნა შემდეგი დასკვნები:

1. ორივე სქესში ჭარბი წონის (სმი=25.0-29.9) პრევალენტობა ყოველ 1,000 მოსახლეზე შეადგენს 314-ს, ხოლო სიმსუქნის (სმი=30+) - 251-ს. ამავე დროს, ჭარბი წონის სიხშირე უფრო პრევალირებს მამაკაცებში (368‰), ხოლო სიმსუქნის- ქალებში (285‰).
2. ჭარბი წონისა და სიმსუქნის (სმი=25+) სიხშირე მატულობს ასაკთან ერთად და პრევალენტობის პიკურ მაჩვენებლებს აღწევს 45-54 და 55-64 წლის ასაკობრივ ჯგუფებში. ჭარბი წონისა და სიმსუქნის სიხშირე ასაკობრივ ჯგუფში 45-54 წელი უფრო პრევალირებს მამაკაცებში (860‰), ხოლო ასაკობრივ ჯგუფში 55-64 წელი- ქალებში (925‰). ანუ, ასაკთან ერთად წონის მომატებისა და სიმსუქნის განვითარების ტენდენცია ერთი დეკადით ადრე იწყება მამაკაცებში.

3. მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია რიგ სოციო-დემოგრაფიულ ფაქტორთან. უმაღლესი განათლების მქონე პირებს, სრული საშუალო განათლების მქონე პირებთან შედარებით, აღენიშნათ 1 კგ/ მ² ით ნაკლები სმი. სმი-ს მაღალი მაჩვენებლები გამოვლენილი იქნა ქორწინებაში მყოფ (28.5), ცალკე მცხოვრებ პირებში (29.5) და ქვრივებში (30.1).
4. მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია რიგ ქცევით ფაქტორთან. კვების რაოდენობისას 4-ჯერ დღეში სხეულის მასის ინდექსმა შეადგინა 29.2 და 1.3 კგ/ მ² ით აღმატება ანალოგიურ მაჩვენებელს დღეში 3-ჯერადი კვების შემთხვევაში. წონის მატება პირდაპირპროპორციულ კავშირშია კვების რაციონში დიდი რაოდენობით ხორცის პროდუქტების (t=3.4) და ბოსტნეულის (t=2.8) მოხმარებასთან, გარეთ კვებასთან (t=3.0), უკუპროპორციული დამოკიდებულება გამოვლინდა თამბაქოს გამოყენებასა და (t=-3.5), ფიზიკურ აქტივობასთან (t=-2.0) მიმართებაში.
5. სმი-ს მაჩვენებელსა და ფიზიკური აქტივობის ინტენსივობას შორის არსებობს უკუპროპორციული დამოკიდებულება. რაც მეტია ფიზიკური დატვირთვა, მით უფრო ნაკლებია სმი. იმ პირებში, რომლებიც ყოველდღიურად 10 წუთი მაინც იტვირთებოდნენ ფიზიკურად, სმი-ს მაჩვენებელმა საშუალოდ შეადგინა 27.7 და 1.3 კგ/ მ² ით ნაკლები, ვიდრე იმ პირებში, რომლებიც დღის განმავლობაში 10 წუთსაც არ ხარჯავდნენ ფიზიკურ დატვირთვაზე.
6. მომატებული სმი კორელაციურ კავშირშია ჯანმრთელობის მდგომარეობის რიგ დარღვევებთან, კერძოდ- მაღალ არტერიულ წნევასთან (t=-3.4), სისხლში ქოლესტერინისა (t=-2.5) და გლუკოზის (t=6.4) დონის მომატებასთან, ანამნეზში ინსულტთან (t=-3.1), მიოკარდიუმის ინფარქტთან (t=-6.6), ავთვისებიან სიმსივნეებთან (t=-6.3).
7. ჭარბი წონის არსებობა 2.2-ჯერ ზრდის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე- 2.3 - ჯერ. 50 და მეტი წლის ასაკოვან პერიოდში, სიმსუქნე 1.6-ჯერ ზრდის შაქრიანი დიაბეტის განვითარების რისკს.
8. ჭარბი წონის არსებობა 1.7- ჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე -2.4-ჯერ. 50 და მეტი ასაკის შემთხვევაში, ნორმალურ წონასთან შედარებით სიმსუქნე 5.9-ჯერ ზრდის ინსულტის განვითარების რისკს.

9. ჭარბი წონის არსებობა 2.4-ჯერ ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს, ხოლო სიმსუქნე- 3.6 - ჯერ. 50 და მეტი ასაკის შემთხვევაში, ნორმალური წონასთან შედარებით ჭარბი წონა და სიმსუქნე 4,2-ჯერ ზრდის მიოკარდიუმის ინფარქტის განვითარების რისკს.
10. მომატებული სმი-ს მქონე პირებში სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკი მაღალია იმ ადამიანებთან შედარებით, რომლებიც ინარჩუნებენ სხეულის ნორმალურ წონას. 50 და მეტი ასაკის პერიოდში, ნორმალურ წონასთან შედარებით ჭარბი წონა და სიმსუქნე 2-ჯერ ზრდის სიმსივნური დაავადებების განვითარების რისკს.

პრაქტიკული რეკომენდაციები

ჩატარებული კვლევის საფუძველზე შემუშავებული იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

1. ჯანმრთელობის პრომოციის, დაავადებების პრევენციისა და სიცოცხლის ხანგრძლივობის გაზრდის მიზნით საქართველოს მოსახლეობამ საჭიროა მუდმივ კონტროლზე აიყვანოს საკუთარი სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებელი, უარი თქვას მაღალკალორიულ საკვებზე, გაზარდოს ფიზიკური აქტივობა და დაიცვას ენერგეტიკული ბალანსი.
2. სმი-ს მონიტორინგს განსაკუთრებით საჭიროებენ სმი-ს მატების ტენდენციის მქონე მაღალი რისკის ჯგუფში შემავალი პირები (50 და მეტი წლის ასაკში, ქორწინებაში მყოფი და ცალკე მცხოვრები პირები, ქვრივები, დიასახლისები, პენსიონერები, პირები, რომლებსაც ხშირად უწევთ სახლის გარეთ კვება, დატვირთული ანამნეზისა და მემკვიდრეობაში დიაბეტის, მაღალი არტერიული წნევის, ინსულტის მქონე ინდივიდები).
3. მნიშვნელოვანია, რომ აგიტაცია გაეწიოს ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებასა და სხეულის ნორმალური წონის შენარჩუნების აუცილებლობას ახალ დაქორწინებულ წყვილებში, ვინაიდან განსაკუთრებით თვალსაჩინოა სმი-ს მატება დაქორწინების შემდეგ.
4. სხეულის მასის ინდექსის მაჩვენებლის ნორმალურ საზღვრებში შენარჩუნების მიზნით ძალზე მნიშვნელოვანია მოსახლეობის მიერ ყოველდღიური ფიზიკური დატვირთვის გაზრდა, სახლის გარეთ კვების სიხშირის შემცირება. სმი-ს მაღალი მაჩვენებლის შემთხვევაში, ყოველდღიური კვების რაციონში ხორცპროდუქტებისა და მაღალკალორიული ბოსტნეულის მოხმარების შეზღუდვა.

5. მაღალი სმი-ს მქონე პირებმა საჭიროა აკონტროლონ არტერიული წნევა, სისხლში გლუკოზისა და ქოლესტერინის დონე და ქრონიკული დაავადებების პრევენციის მიზნით პერიოდულად ჩაიტარონ შაქრიანი დიაბეტის, სიმსივნური და ცირკულატორული სისტემის დაავადებების (მიოკარდიუმის ინფარქტი, ინსულტი) სკრინინგი.

დისერტაციის თემაზე გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია

**Relation of overweight and obesity with demographic and behavioral factors (2015)
Caucasus Journal of Health sciences and Public Health, Tbilisi (co-authors Z. Avaliani,
V.Tkeshelashvili, T. Lobjanidze) (in press)**

**Correlation of body mass index, existence of diseases in anamnesis and heredity in Georgian
population (2015) Caucasus Journal of Health sciences and Public Health, Tbilisi (co-
authors Z. Avaliani, V.Tkeshelashvili, T. Lobjanidze) (in press)**

**Overweight, obesity and diets in the modern society (2014) , Actual Topics on
Women's Health, edition 4-2013 (co-authors R.Tataradze)**



